ჰესების მშენებლობის გავლენა\არქიტექტურაზე სოფლების ჟინვალისა და ანანურის მაგალითზე

გიორგი წულუკიძე, ვაჟა ტარასაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175 თბილისი-საქართველო)

რეზიუმე: თემის მიზანია- თემის ირგვლივ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ადგილობრივ არქიტექტურასა და ინფრასტრუქტურაზე ჰესების გავლენის შესწავლა-შეფასება, მათზე შეგროვილი ინფორმაციის მიწოდება მკითხველთათვის.

საკვანძო სიტყვები: ჰესი; კაშხალი; სოფ. ანანური; სოფ. ჟინვალი; არქეოლოგია; ძეგლი; არქიტექტურა;

1. შესავალი

XX საუკუნის 70-80-იან წლებში, კერძოდ 1971-1985 წ.წ. მდინარე არაგვზე აშენდა ჟინვალ ჰესი. მისი პარამეტრებია: სიგრძე 7კმ, სიგანე – ზოგიერთ ადგილებში – 14 კმ, სიღრმე – 75 მეტრი. ამ ჰესის მშენებლობის შედეგად სრულიად დაიტბორა სოფელი ჟინვალი, ხოლო სოფელი ანანური- ნაწილობრივ. სამუდამოდ წყლის ქვეშ დარჩა ძალიან ბევრი არქეოლოგიური ძეგლი. 14 წლის მანძილზე დაუზოგავად, დღე და ღამე მუშაობდნენ არქეოლოგები და მიუხედავად ამისა მაინც ვერ მოასწრეს სრულად არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ჟინვალის ყველა არქეოლოგიურ უბანზე მილიონზე მეტი ნიმუში უნდა მოძიებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ მათი უმრავლესობა სამუდამოდ ჟინვალის წყალსაცავის ფსკერზე დარჩა. ეს წარმოადგენს არქეოლოგიური განძის 60 პროცენტს.

2.ძირითადი ნაწილი

რისი აღმოჩენაც მოხერხდა და მოესწრო ძალიან ბევრს მოგვითხრობს ამ უძველესი დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებზე, მათ ყოფაზე. იმ ადგილებში, რომელიც ჟინვალის წყალსაცავმა დაფარა შუა საუკუნეებში მდიდარი ქართული

ქალაქი ჟინვალი ყოფილა თავისი ციხე-კოშკებით, გზებით, სასახლეებით. იმ პერიოდისთვის პრესტიჟული საცხოვრებელი ადგილი. მსოფლიო სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე ეს მდიდარი ქალაქი მთელი კავკასიის კარს აკონტროლებდა. წერილობით წყაროებში ქალაქი პირველად მოხსენიებულია მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები ჩამოასახლა – „მათ ჟინვალი გამოიარესო“ – წერს მემატიანე. შემდგომ თამარ მეფეს ჟინვალი დროებით სარგებლობაში ერთგულ ჭიაბერ მანდატურთუხისესისთვის უბოძებია.

ეტყობა ქალაქს მტერი მრავლად ჰყავდა. ამაზე მეტყველებს შესანიშნავი იარაღი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების სამარხებში იქნა აღმოჩენილი. აღმოჩენილი არქეოლოგიური ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ თამარის დროს ქალაქი ყვაოდა. არამხოლოდ არისტოკრატები, ვაჭრები, ხელოსნები არამედ მოსახლეობის საშუალ ფენაც საკმაოდ მდიდარი ყოფილა.

ხელოსანთა საცხოვრებლის ნამარხების გათხრისას აღმოჩნდა უნიკალური ხელნაკეთი ჭურჭელი. მათ ეზოებში ჰქონიათ ქურები, რომელშიც ფერად მინასაც ასხამდნენ. ამის ნიშანია – აღმოჩენილი, I საუკუნით დათარიღებული მინის ფერადი ფლაკონები, ეს უკანასკნელი არამარტო მინის ჩამოსხმის ხელოვნებაზე მიგვანიშნებს, არამედ მედიცინის განვითარების დონეზე მეტყველებს.

სამუდამოდ წყლის ქვეშ დარჩა 7-8 ეკლესია. უნატიფესი ხელოვნებით შემკული აუარება ბრინჯაოს, რკინის და ოქროს იარაღი და სამკაული.

არქეოლოგებმა ჟინვალის ერთ-ერთი კოშკს მაშინ მიუსწრეს, როდესაც მისი ნახევარი უკვე აეფეთქებინათ. ამისდა მიუხედავად აღმოჩენილმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს ყოფილა ერთ-ერთი უნიკალური არქიტექტურული ძეგლი სასმელი წყლის აუზით, ღამის გასათევი ოთახებით, ხის ბაგირებით – რომელსაც ღამით სწევდნენ, რომ ქალაქში უცხოს არ შეეღწია. ჟინვალის 100 მეტრიან კაშხალთან ჩაიძირა მდინარის ორივე სანაპიროზე მდებარე ქალაქის ჭიშკარიც, რომელზეც XIII საუკუნეში მონღოლები გადავიდნენ. XIV საუკუნეში ქალაქი გიორგი ბრწყინვალეს აუღორძინებია, მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოს, იგი თემურ – ლენგს მიწასთან გაუსწორებია. ქალაქი ჟინვალის ახლოს, სოფელ დავათში აღმოჩნდა 368 წლის დათარიღებული სტელა ქართული ანბანით. ეს სტელა დავათის ეკლესიის სვეტში იყო ჩაშენებული მის წინა ხილულ ნაწილში თავზე ჯვრით გამოსახული ღვთისმშობელი ჩანდა, ხოლო

ქართული ანბანის ახალი დათარიღების საიდუმლო სტელას უხილავ ნაწილში აღმოჩნდა – იქ ორ ანგელოზს ხელთ ანიდან ჰოემდე 37 ქართული ასობგერა უჭირავს და ზეცად აღამაღლებს. ბუნებრივია, ამ დონის აღმოჩენების გათვალისწინებით ჩვენი დამწერლობის სხვა ნიმუშებიც უსათუოდ გვექნებოდა.



სოფ. დავათში VIII-IX საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილი სტელა

და კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი – გადმოცემის თანახმად შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ჟინვალში გადასცა თამარს.

ჟინვალის სამაროვანში ნაპოვნია ამიერკავკასიაში ამ დროისთვის ერთადერთი, ბეჭედზე ამოტვიფრული ღვთისმშობელი ყრმით (530-532 წლები).

საშიშროება იყო, რომ დატბორილიყო ანანურის ციხე-სიმაგრეც. ამან ძალიან დიდი პროტესტი გამოიწვია მაშინდელი ინტილიგენციისა და სრულიად სა-

ქართველოსი. მოხდა პროექტის კორექტირება, შედეგად ანანურის ციხე-სიმაგრე დღესაც ამაყად გადაჰყურებს არაგვის ხეობას.

ანანურის ციხესიმაგრე XXI ს.

ანანურის ციხესიმაგრე XVIII ს.

ეს ციხესიმაგრე მდებარეობს დუშეთიდან 23 კმ-ში მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე. ანანური არაგვის ერისთავების რეზიდენცია ყოფილა იგი ისტორიულ წყა-

როებში XVI-საუკუნიდან მოიხსენიება. ანანურის ციხესიმაგრე კეტავდა ჩრდილო-ეთიდან მომავალ დიდ მაგისტრალს – დარიალის გზას. ანანურზე გადიოდა კახეთიდან მომავალი გზა, რომელიც ვაძათხევთან გადიოდა ქსნის ხეობაში.

ანანურის ციტადელის მთავარ შენობას წარმოადგენს დიდ გუმბათიანი ტაძარი „ღვთისმშობელი“. ინტერიერი ყოფილა მოხატული. სამხრეთ კედელზე შემორჩენილია „განკითხვის დღის“ სცენა. ფასადები შემკულია ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების რელიეფური ფიგურებით. სამხრეთის ფასადზე მოჩუქურთმებული ჯვარია, გვერდებზე დატოტვილი ვაზებით, აქვე ჯაჭვით დაბმული ორი ლომის ფიგურაა. ჯვარი და ვაზი გამოსახულია დასავლეთს კედელზეც. ტაძარი აგებულია 1698 წელს, რაზეც მიუთითებს სამხრეთ კედელზე არსებული 19-სტრიქონიანი მხედრული წარწერა.

ანანურის კომპლექსი გვიანფეოდალური ხანის ძეგლებიდან ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მასში თავმოყრილია, როგორც სამხედრო, საკულტო, ისე საერო დანიშნულების ნაგებობები. საქართველოს ტერიტორიაზე ძნელია მოიძებნოს ასე ერთად თავმოყრილი და შედარებით კარგად შემონახული ძეგლი.

სოფლების დატბორვამ საჭირო გახადა ახალი მშენებლობების დაწყება. არაგვის მარჯვენა სანაპიროზე გაჩნდა ახალი დაბა – ჟინვალი, სოფ. ანანურში კი გაჩნდა ახალი დასახლება. ახალმა იმ დროისათვის თანამედროვე არქიტექტურამ შეცვალა ძველი, თვითმყოფადი სოფლის არქიტექტურა.

დატბორვამდე დაბა ჟინვალი და სოფ. ანანური განაშენიანებული იყო გრძივად. შენობები მიყვებოდნენ არაგვის ხეობის და სამხედრო გზას.

სახლები ძირითადად ნაშენი იყო რიყის ქვით და აგურით. შენობის კედლები შესრულებული იყო აგურის შეულესავი წყობით და ქვის კვადრული, ზოლური ჩანართებით. სახლებს ამშვენებდა ხის ჭვირულად მოხარატებული აივნის სისტემები. გამოყენებული იყო ხის კონსტრუქციული ელემენტები (ზღუდარები, სარტყელი, აივნის კოლონები და სხვა). ფასადები მორთული იყო აგურის თაღოვანი თავსართებით. შენობის ინტერიერში ვხვდებით თაღოვან ნიშებს. ეს კარგად ჩანს ანანურის ციხის ძირში შემორჩენილი ძველი შენობების ნანგრევებიდან

შემორჩენილია ძველი ხიდიც, რომელიც წყალსაცავის დაცლისას კარგად ჩანს და რომელიც სრულიად იფარება მისი ავსების დროს.

სოფელში კარგად არის შემონახული ძვ. ფოსტის შენობა, იგი ორ საუკუნეს ითვლის. აშენებულია აგურით და შეღებილი იყო თეთრად. ასეთივე (ტიპიური) ფოსტის შენობები აშენებულია ფასანაურში და გუდაურში.

იქ სადაც ადრე ძვ. სამხედრო გზა იყო ეხლა სოფლის გზაა. ამ გზის გასწრივ გაჩნდა თანამედროვე ნაგებობები.

ანანურის ციხის ძირში წყალსაცავის ნაპირზე მოეწყო დასასვენებელ-სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე განთავსებულია სპორტული მოედნები, საბავშვო-გასართობი მოედნები სანაპირო ზოლში კი პლიაჟი. ეს კომპლექსი არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი და სარეკრიაციო სივრცე .

აქვე ძველი შენობების ნანგრევების გვერდზე თავს იწონებს ახალი შენობა-ნაგებობები. ჰესის მშენებლობის გამო დატბორილი სახლების და საცხოვრებლად უვარგისი სახლების მაგივრად XX საუკუნის 80-იან წლებში სოფ. ანანურის ბოლოში გაკეთდა ახალი დასახლება ტიპიური საცხოვრებელი ერთსართულიანი სახლები. აშენდა ახალი სკოლის შენობა.

მთლიანად დატბორილი სოფელი ჟინვალის ნაცვლად არაგვის მარჯვენა სანაპიროზე აშენდა ახალი დაბა ჟინვალი, თანამედროვე (საბჭოთა კავშირის დროინდელი ტიპიური პროექტით) მრავალ სართულიანი კორპუსებით და ინდივიდუალური ერთ-ორ სართულიანი სახლებით, მაღაზიებით, სკოლებით, გასართობი ცენტრით.

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰესის მშენებლობა ძირფესვიანად ცვლის გარემოს. იკარგება და ქრება ყველაფერი ძველი რჩება მხოლოდ მწირი ფოტო-მასალა და ისტორია. სამაგიეროდ ჩნდება ახალი დასახლებები ეპოქის შესაბამისი არქიტექტურით და ინფრასტრუქტურით. ძნელი სათქმელია რომელი ჯობია ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. პროგრესი მოითხოვს ძველის ახლით შეცვლას. ზოგადად ეს უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად.

3.დასკვნა

ქვეყნის ისტორიის დიდი ნაწილი -- იმიტომ, რომ კაშხალი მოკლე ვადებში აშენდეს--არ შეიძლება მოექცეს სამუდამოდ წყლის ქვეშ და დაიკარგოს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოსთვისაც. მიგვაჩნია, რომ კარგი იქნებოდა ანანურის ციხის ძირში შემორჩენილი რამოდენიმე შენობის რესტავრაცია – კონსერვაცია და მათთვის ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ტურისტებისათვის მიმზიდველი ახალი სიცოცხლის შთაბერვა, ეს იქნება სუვენირების მაღაზიები თუ პატარა კაფე-რესტორნები ხოლო, რაც შეეხება დაბა ჟინვალის არქიტექტურას ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არა საბჭოთა კავშირის დროინდელი ტენდენცია ტიპიური სახლების მშენებლობისა გაცილებით უფრო ლამაზი და აქრიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო დაბის მიღება იქნებოდა შესაძლებელი.

ლიტერატურა

1) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი გ. გამყრელიძე. დ. მინდორაშვილი, ზ. ბრეგვაძე და სხვა)

2) ეთერ ერაძე. სტატია; ჩაძირული ქალაქის საიდუმლო, რას მალავს ჟინვალის წყალსაცავის ფსკერი.

3) მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

4) „წყალში ჩაძირული ტაძარი“

“მთის ამბები” დამოუკიდებელი ონლაინგამოცემა